ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფშორული კომპანიები და მათთან დაკავშირებული პირები

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

მმართველი პარტია „ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან სულ მცირე 9 ოფშორული კომპანია და 70-ზე მეტი საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციაა ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული (საჯარო რეესტრის მონაცემებისა და სხვადასხვა ღია წყაროს თანახმად). პოლიტიკოსის კავშირი კერძო სექტორის კომპანიებთან, მართალია ყოველთვის კანონის დარღვევას არ წარმოადგენს, მაგრამ ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის სერიოზული პოტენციური წყაროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ქვეყნის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს ეხება. ამგვარი რისკების პრევენციის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება ამ კავშირების მაქსიმალური გამჭვირვალობაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი კვლევა.

პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარესთან დაკავშირებული კომპანიები სხვადასხვა გახმაურებული შემთხვევისა თუ საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხის მონაწილე და ინტერესის საგანი არაერთხელ გამხდარან. ასეთ საკითხებს შორისაა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, საჯარო ქონების განკარგვისა თუ ზოგიერთი თანამდებობის პირის ოჯახისთვის ფულადი თანხის ჩუქების/დახმარების გაწევის შემთხვევები.

წარმოდგენილ მიმოხილვაში მოყვანილი მაგალითები მიუთითებს, რომ:

- ბიძინა ივანიშვილის გავლენა მთავრობაზე ქმნის საფრთხეს, რომ მასთან დაკავშირებული კომპანიები სახელმწიფოსგან უსამართლო (და შესაძლოა ასევე უკანონო) სარგებელსა თუ უპირატესობებს მიიღებენ
- კვლევაში განხილული ბიძინა ივანიშვილის ბიზნესკავშირები წარმოშობს რისკებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მხრივაც. ერთი წყაროდან მომავალი დიდი ფული, როგორც წესი, უარყოფითად აისახება პოლიტიკურ პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებაზე

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ:

- ბიძინა ივანიშვილმა, როგორც უკიდურესად გავლენიანმა პოლიტიკოსმა და მმართველი პარტიის ლიდერმა, უზრუნველყოს, რომ საზოგადოებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს სრული ინფორმაცია ბიზნესთან მისი კავშირების შესახებ
- ხელისუფლებამ მიიღოს კანონი კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოფილმა პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე 2016 წლის მაისში აიღო ვალდებულება, რომ საქართველო შეისწავლიდა კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების საჯარო რეესტრის შექმნის მიზანშეწონილობას
- საჯარო სამსახურის ბიურომ სათანადო ყურადღება დაუთმოს ივანიშვილთან დაკავშირებული თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების გადამოწმებას, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ივანიშვილთან დაკავშირებული პირების მიერ განხორციელებული პოლიტიკური შემოწირულობები რეგულარულად უნდა აკონტროლოს
- შესაბამისმა საგამოძიებო უწყებებმა უფრო ეფექტურად უნდა მოახდინონ რეაგირება ანტიკორუფციული კანონმდებლობის უკვე გამოვლენილ დაღვევებზე (მაგ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის შემთხვევაში).

ქვემოთ მიმოხილულია ყოფილ პრემიერმინისტრსა და მმართველი პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიებისა და მათი ხელმძღვანელებისა საქმიანობა და კავშირები.

ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ცხრავე ოფშორული კომპანიის წარმომადგენელი, რეესტრის დოკუმენტების თანახმად, **კახა კობიაშვილია**, რომელიც, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილის დისშვილია. „ქართული ოცნების" თავმჯდომარის კომპანიებთან დაკავშირებულ პირებს (ხელმძღვანელებს) 2012-18 წლებში ჯამში დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების შემოწირულობა აქვთ განხორციელებული მმართველი პარტიისთვის.

ფინსეკ ლიმიტედი (FINSECK LIMITED), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს ლიზინგი ოცდამეერთე - 204929532	დავით ჩხეტიანი	100%	კომპანიას ეკუთვნის კოსტავას ქუჩაზე, "ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასაწყობე კომპლექსი.
შპს თხილის განაშენიანების და გადამუშავების კომპანია - 206113141	ნინო ღირსიაშვილი	100%	კომპანიის ყოფილი დირექტორი იური ნოზაძე ამჟამად სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა.
შპს კომპლექს-სერვისი - 205023632	გენერალური დირექტორი - პაატა სულაბერიძე, დირექტორი - კახა კობიაშვილი	100%	კომპანიას 2011 წელს 100 000 - 100 000 ლარი აქვს შეწირული „საქართველოს კონსერვატიული პარტიისა" და "თავისუფალი დემოკრატებისთვის".
შპს ექსპრეს-სერვისი - 204963879	დირექტორი - რევაზ სიჭინავა	100%	

ვენითი ოუვერსიიზ ლიმითედი (VANITY OVERSEAS) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს ბურჯი - 204973742	გიორგი ქსოვრელი	100%	სამშენებლო ჰოლდინგი, რომელიც შედის სს „ქართუ ჯგუფი"-ს შემადგენლობაში, ასევე ფლობს კომპანია "მეპკოს"-ს. კომპანიის ვებ-გვერდის თანახმად, "ბურჯი" სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი სამშენებლო კომპანიაა. 2012 წლის არჩევნებამდე პერიოდში, შპს "ბურჯი" აუდიტის სამსახურის ოქმის საფუძველზე, კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" შეღავათიანად ავტომობილების მიქირავებისათვის, ასევე, კოალიციის ოფისებით შეღავათიან ფასებში გარემონტებისათვის 10 მილიონამდე ლარით დააჯარიმეს. კომპანიამ ჯარიმის თანხა არ გადაიხადა, რის შემდეგაც ქონება დაყადაღდა და აუქციონზე გაიყიდა.
შპს აკვა ცენტრი - 205041211	კახა კობიაშვილი	100%	

გილმარ ჰოლდინგ ლიმითედი, ბელიზი

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს ქართული ჰოლდინგი - 205032310	კახა კობიაშვილი	100%	კომპანიას 2011 წელს 100 000 - 100 000 ლარი აქვს შეწირული პოლიტიკური პარტიებისთვის "თავისუფალი დემოკრატები" და "რესპუბლიკური პარტია".

კრისტა ინვესთმენთს ლიმიტედი (KRISTA INVESTMENTS LIMITED) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	იურიდიული მისამართი
შპს სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი აგრო ქართუ - 205203983	გენერალური დირექტორი - ბესიკ დემეტრაშვილი დირექტორი - ზურაბ შხვაცაბაია	100%	კომპანიის გენერალური დირექტორი 2008-2013 წლებში ამჟამად სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე იყო. 2014 წელს კომპანია ეკონომიკის სამინისტრომ 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გაათავისუფლა.

სს ბანკი ქართუ და სს ქართუ ჯგუფი

კომპანია- ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
204891652 სს ბანკი ქართუ	სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი წევრი: ბესიკ დემეტრაშვილი წევრი: ეთერი დემინაშვილი გენერალური დირექტორი - ნატო ხაინდრავა დავით გალუაშვილი ოპერაციების დირექტორი/დირექტორატის წევრი ბექა კვარაცხელია რისკების დირექტორი/ დირექტორატის წევრი გივი ლებანიძე ფინანსური დირექტორი/ დირექტორატის წევრი ზურაბ გოგუა კომერციული დირექტორი/ დირექტორატის წევრი	სს „ქართუ ბანკის" ერთადერთი აქციონერი სს „ქართუ ჯგუფია"[1].
სს ქართუ ჯგუფი - 204876642	სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი წევრი: ეთერი დემინაშვილი წევრი: ნათელა ყალიჩავა აღმასრულებელი დირექტორი - გოჩა ჩიკვილაძე გენერალური დირექტორი - ნატო ხაინდრავა	თავის მხრივ, 2016 წლის 26 იანვრის მდგომარეობით, სს „ქართუ ჯგუფის" წილთა 48.2%-ს ფლობდა კომპანია კრისტა ინვესტმენტ ლიმიტედი, წილთა 1.4%-ს ფლობდა სს „ინტერ-ინვესტი", "სარგანს ლიმიტედი" წილთა 45%-ს, ხოლო 4.21%-ს სს „არგო-სერვისი".[2] თავის მხრივ სს „ინტერ-ინვესტის" წილთა სრული მესაკუთრე 2015 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით იყო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ფინსეკ ლიმიტედი".[3]

1 http://www.cartubank.ge/ge/563/
2 საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე დაცული ინფორმაცია, განცხადების ნომერი: B16010189
3 საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე დაცული ინფორმაცია, განცხადების ნომერი: B15192683

რინგოლდ ფინანს ლიმიტედი (RINGOLD FINANCE LIMITED) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს ჰორიზონტი - 211345105	გელა კობერიძე	75%	კომპანია შპს ჰორიზონტის 75% წილის მფლობელია რინგოლდ ფინანს ლიმიტედი, 25%- ის კი სს აისი (204872771).
შპს-ახალი სერვისი - 404870289	ნიკოლოზ ჩხეტიანი	100%	სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძის ინფორმაციით, შპს "ახალი სერვისი" "ქართუ ჯგუფთან" დაახლოებული პირების, (ახლობლების, მსახიობების, მომღერლებისთვის) თანხის სახით დახმარების გადაცემის მიზნით შეიქმნა. კომპანიიდან დახმარების/საჩუქრის მიმღებთა შორისაა მისი მეუღლე ლენა მამაცაშვილიც, რომელიც კომპანიიდან თანხას "7-8 წელია იღებს." იური ნოზაძის განმარტებით, ლენა მამაცაშვილი "ჩვეულებრივი მეუღლეა, მე კიდევ „ქართუს"ნათესავი ვარ, რომელიც ასეთ დახმარებას აძლევს ჩემს მეუღლეს." სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის მეუღლეს 2013-2017 წლებში ამ კომპანიიდან საჩუქრის სახით 100 000 ლარამდე აქვს მიღებული, რაც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" შეფასებით, კანონდარღვევაა. ამავე კომპანიიდან ფულადი საჩუქარი აქვს მიღებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიასაც, რომლის განმარტებითაც, "ახალი სერვისისგან" თანხა საჩუქრად "კარგი ადამიანობისთვის, კაცობისთვის" მიიღო.
შპს ელიტა ბურჯი - 206120437	გიორგი როგავა	100%	„ელიტა ბურჯი"-ს ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო სამუშაოები და მშენებლობისათვის საჭირო მასალების წარმოება. 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში კომპანია უკანონო შემოწირულობების ბრალდებით 3,4 მილიონი ლარით დაჯარიმდა.

სს დაზღვევის კომპანია ქართუ

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
სს დაზღვევის კომპანია ქართუ ს/კ: 204970031	ფინანსური დირექტორი - გივი ლებანიძე აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი მიქაბერიძე გენერალური დირექტორი - არჩილ მამაცაშვილი, თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ალა კახნიაური წევრი: კახა კობიაშვილი	"დაზღვევის კომპანია ქართუ" სს "ბანკი ქართუმ" და "რინგოლდ ფაინენს ლიმიტედმა" დააფუძნა.

სს აისი ს/კ: 204872771

კომპანია და ს/კ	დირექტორი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
სს აისი - 204872771	დირექტორი - ეკატერინე ბოლქვაძე თავმჯდომარე/წევრი: კახა კობიაშვილი	სს „აისი" და რინგოლდ ფინანს ლიმიტედი შპს "ჰორიზონტის" თანამესაკუთრეები არიან. სს "აისი" 25%, რინგოლდ ფინანს ლიმიტედი კი 75% წილს ფლობს შპს "ჰორიზონტში"

ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ ს.ა. (LIMESTONE FINANCE INTERNATIONAL SA) პანამა

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს სანაპიროს ხედი - 204559511	ივანე ბონდირევი	100%	კომპანიის საკუთრებაშია ერეკლე მეორის მოედანზე, "ქართული ოცნების" ოფისის გვერდით არსებული 794 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც "პანორამა თბილისის" პროექტით ერთ-ერთი გათვალისწინებული ტერიტორიაა.
შპს ახალი კაპიტალი - 205283637	ივანე ბონდირევი	100%	კომპანია ერეკლე მეორის მოედანზე, #3-ში მდებარე როსტომ მეფის სასახლის მფლობელია, სადაც "ქართული ოცნება" ოფისს ქირაობს.
შპს ინვესტ კაპიტალი - 205284324	კახა კობიაშვილი	100%	კომპანიის საკუთრებაშია იპოდრომის ყოფილი ტერიტორია.
შპს ქართუ კონსალტინგი - 405029623	ლალა ჯიქია	100%	
შპს ჯეოფერტ - 405076331	თენგიზ გვაზავა	51%	კომპანიის 51% წილი ეკუთვნის ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ-ს, ხოლო 49%-ი შპს "აგრობიოფერტ"-ს.
შპს ბლექ სი არენა - 405141831	დირექტორი - გელა კობერიძე	100%	

ფრესნო მენეჯმენტ ლიმიტედი (FRESNO MANAGEMENT LIMITED) ბელიზი

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს ინტერ კონსალტინგ + - 205032294	ბიჭია დემეტრაშვილი	100%	კომპანიას 2011 წელს ჯამში 400 000 ლარის ღირებულების შემოწირულობა აქვს გაკეთებული "ხალხის პარტიის", "კონსერვატიული პარტიის", "რესპუბლიკური პარტიისა" და "თავისუფალი დემოკრატების" (100 000 - 100 000 ლარი) სასარგებლოდ. (ფრესნო მენეჯმენტ ლიმიტედი ფლობდა ორ კომპანიას, შპს „ინტერ კონსალტინგსა" და შპს „ინტერ კონსალტინგ +". 2014 წელს მოხდა ამ კომპანიების გაერთიანება და ახლა რეგისტრირებულია როგორც შპს „ინტერ კონსალტინგ +-ი".)
შპს ქართუ მშენებელი - 205200227	ზურაბ ცოტნიაშვილი	100%	კომპანია "ქართული ოცნების" სასარგებლოდ უკანონო შემოწირულობის გაკეთების ბრალდებით 200 000 ლარით 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში დაჯარიმდა.

ვიზელია ენთერპრაიზის ლიმიტედ (VASILIA ENTERPREISES) ბელიზი

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს ფინსერვისი-XXI - 205030214	ვეფხვია დვალი	100%	კომპანია ფიგურირებს თბილისის ბოტანიკურ ბაღში და მის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების განკარგვის პროცესში, რასთან დაკავშირებითაც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" კორუფციის ნიშნების არსებობაზე საუბრობდა. 2011 წელს კომპანიას 100 000 - 100 000 ლარის შემოწირულობა აქვს გაკეთებული "ხალხის პარტიისა" და "კონსერვატიული პარტიის" სასარგებლოდ. კომპანიის დირექტორი 2004-2013 წლებში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე იყო.

ტარპან მენეჯმენტ ლიმითიდ (TARPAN MANAGEMENT LIMITED), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

კომპანია და ს/კ	დირექტორი	წილი	ინფორმაცია კომპანიის შესახებ
შპს მენეჯმენტ სერვისი - 205177057	ბესიკ დემეტრაშვილი	100%	2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში კომპანია უკანონო შემოწირულობების ბრალდებით დაჯარიმდა.

ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პირების ბიზნესები

კახა კობიაშვილი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, კახა კობიაშვილი ბიძინა ივანიშვილის დისშვილია. წარმოდგენილ კვლევაში განხილული ოფშორული კომპანიების წარმომადგენელი სწორედ კახა კობიაშვილია. ის ფიგურირებს 2015 წლის გახმაურებულ ე.წ. „ნარუშილოვკების" სკანდალშიც - პატრულის ყოფილი თანამშრომლის მიერ გავრცელებული ვიდეომასალით, მამაკაცი, რომელიც სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილის დისშვილი კახა კობიაშვილია, პატრულს გაჩერებისას წარუდგენს სპეციალურ ოპერატიულ საშვს (ე.წ „ნარუშილოვკას"). კახა კობიაშვილი შინაგან საქმეთა სამინიტროს ოპერატიული თანამშრომელი არ არის და შესაბამისად, გაურკვეველია საიდან ჰქონდა მას ეს საშვი.

კახა კობიაშვილს მმართველი პარტია "ქართული ოცნებისთვის" ჯამში 65 000 ლარი აქვს შეწირული (2017 წ.- 40 000 ₾, 2016 წ. - 25 000 ₾).

კომპანია	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს კომპლექს - სერვისი ს/კ:205023632	გენერალური დირექტორი - პაატა სულაბერიძე დირექტორი - კახა კობიაშვილი	100 %- წილი ფინსეკ ლიმიტედი (Finsek Limited) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები
შპს აკვა ცენტრი ს/კ: 205041211	დირექტორი - კახა კობიაშვილი	100% წილი ვენითი ოუვერსიიზ ლიმითედი (Vanity Overseas) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები
შპს ქართული ჰოლდინგი ს/კ:205032310	დირექტორი - კახა კობიაშვილი	100% წილი გილმარ ჰოლდინგ ლიმითედი, ბელიზი
სს აისი ს/კ:204872771	დირექტორი - ეკატერინე ბოლქვაძე თავმჯდომარე/წევრი - კახა კობიაშვილი	
შპს ინვესტ კაპიტალი ს/კ:205284324	დირექტორი - კახა კობიაშვილი	100% წილი ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ ს.ა. (Limestone Finance International SA) პანამა
ა(ა)იპ ასოციაცია ატუ ს/კ:239402491	გამგეობის წევრი კახა კობიაშვილი	გამგეობის თავმჯდომარე/წევრი - როსტომი ჩაბრაძე წევრი - ბიჭია დემეტრაშვილი
სს დაზღვევის კომპანია ქართუ ს/კ:204970031	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი კახა კობიაშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/ წევრი - ნიკოლოზ ჩხეტიანი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი - ალა კახნიაური, ფინანსური დირექტორი - გივი ლებანიძე, აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი მიქაბერიძე, გენერალური დირექტორი - არჩილ მამაცაშვილი
შპს აქცეპტი ს/კ:206335143	აღმასრულებელი დირექტორი კახა კობიაშვილი	20% წილი - კახა კობიაშვილი, 80% წილი - ლერი კაპანაძე

დავით ჩხეტიანი

დავით ჩხეტიანი "ლაგუნა ვერეს" გენერალური დირექტორია. სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებით დასმული კითხვებისას, თავად ჩხეტიანი "ქართუ ჯგუფთან" რაიმე კავშირს უარყოფდა, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემები საპირისპიროს მოწმობს.

კომპანია და ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ულტრაპრინტი - 203836705	დირექტორი დავით ჩხეტიანი	100 % წილი, შპს ლიზინგი ოცდამეერთე
სს სპორტული კომპლექსი ლაგუნა ვერე - 203836117	აღმასრულებელი დირექტორი დავით ჩხეტიანი, დირექტორი - ვლადიმერ გოიაშვილი	99% წილი „სს იუნიონი", საბჭოს თავმჯდომარე/ წევრი - გიორგი ჯანელიძე, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი - გიორგი ქსოვრელი, წევრი - გელა კობერიძე
შპს ლიზინგი ოცდამეერთე - 204929532	დირექტორი დავით ჩხეტიანი	100% წილი, ფინსეკ ლიმიტედი
შპს ინკო - 404856367	ხელმძღვანელი დავით ჩხეტიანი, ნიკოლოზ ჩხეტიანი	100% წილი, ნიკოლოზ ჩხეტიანი

ნიკოლოზ ჩხეტიანი

დავით ჩხეტიანის შვილი ნიკოლოზ ჩხეტიანი ფონდ „ქართუს" გამგეობის თავჯდომარე, ბანკი "ქართუს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის „მოქალაქის" (ს/კ: 405027000) აღმასრულებელი დირექტორია. ორგანიზაციის თავჯდომარე კი თავად ბიძინა ივანიშვილია.

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
ა(ა)იპ მოქალაქე - 405027000	აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ ჩხეტიანი	თავჯდომარე ბიძინა ივანიშვილი
ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ" - 204874421	თავმჯდომარე, გამგეობის წევრი ნიკოლოზ ჩხეტიანი	გამგეობა თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი წევრი:ნატო ხაინდრავა წევრი: კახა კობიაშვილი
ასოციაცია თბილისის საზოგადოებრივი სივრცის დაგეგმარებისა და განვითარების ცენტრი - 202348361	გამგეობის წევრი ნიკოლოზ ჩხეტიანი	თავჯდომარე ნატო ფირცხალავა
შპს ინკო - 404856367	ხელმძღვანელი დავით ჩხეტიანი, ნიკოლოზ ჩხეტიანი	100% წილი, ნიკოლოზ ჩხეტიანი
შპს ახალი სერვისი - 404870289	დირექტორი: ნიკოლოზ ჩხეტიანი	100% შპს რინგოლდ ფინანს ლიმიტედი
სს ქართუ ჯგუფი - 204876642	სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი	2016 წლის 26 იანვრის მდგომარეობით, სს „ქართუ ჯგუფის" წილთა 48.2%-ს ფლობდა კომპანია კრისტა ინვესტმენტ ლიმიტედი, წილთა 1.4%-ს ფლობდა სს „ინტერ-ინვესტი", "სარგანს ლიმიტედი" წილთა 45%-ს, ხოლო 4.21%-ს სს „არგო-სერვისი".[4] თავის მხრივ სს „ინტერ-ინვესტის" წილთა სრული მესაკუთრე 2015 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით იყო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ფინსეკ ლიმიტედი".[5]

4 საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე დაცული ინფორმაცია, განცხადების ნომერი: B16010189

5 საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე დაცული ინფორმაცია, განცხადების ნომერი: B15192683

ნინო ღირსიაშვილი

საჯარო რეესტრის მიხედვით ნინო ღირსიაშვილი მხოლოდ შპს „თხილის განაშენიანების და გადამუშავების" კომპანიის (ს/კ: 206113141) დირექტორია, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ფინსეკ ლიმიტედი. ხოლო ხელძღვანელი იყო იური ნოზაძე, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა.

პაატა სულაბერიძე

პაატა სულაბერიძე არის შპს „ურეკი რეზიდენსის" დირექტორი, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი 2016 წელს ბიძინა ივანიშვილი იყო, 2017 წლიდან კი კომპანიას ბერა ივანიშვილი ფლობს.

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ურეკი რეზიდენსი - 437067148	დირექტორი პაატა სულაბერიძე	100% წილი, ბერა ივანიშვილი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია
შპს მეპკო - 405071764	დირექტორი პაატა სულაბერიძე	49% პაატა სულაბერიძე, 52% შპს ბურჯი, ს/კ: 204973742,
შპს ელიტ-პროსერვისი - 404929299	დირექტორი პაატა სულაბერიძე	100% წილი, პაატა სულაბერიძე
შპს კომპლექს სერვისი - 205023632	გენერალური დირექტორი - პაატა სულაბერიძე დირექტორი - კახა კობიაშვილი	100% წილი, ფინსეკ ლიმიტიდ, ვირჯინიის კუნძულები

ბერა ივანიშვილი

ბიძინა ივანიშვილის შვილს, ბერა ივანიშვილს საქართველოში სამ კომპანიაში აქვს პირდაპირი წილი.

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ურეკი რეზიდენსი - 437067148	დირექტორი პაატა სულაბერიძე	100% წილი, ბერა ივანიშვილი საქართველო, რუსეთის ფედერაცია
შპს სილქ ფაქტორი სტუდიო - 404531734	დირექტორი გიორგი ხაინდრავა	100% წილი, ბერა ივანიშვილი საქართველო, რუსეთის ფედერაცია
შპს ქართული ოცნება - 405259090	დირექტორი - ავთანდილ ბადუაშვილი	ბერა ივანიშვილი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია 100%

გიორგი ქსოვრელი

კომპანია ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ბურჯი 204973742	დირექტორი გიორგი ქსოვრელი	100% წილი, ვენითი ოუვერსიიზ ლიმითედი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები
შპს სიშორ 405185570	დირექტორი გიორგი ქსოვრელი	100% წილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი
შპს ბლექ სი რივიერა 405139434	დირექტორი გიორგი ქსოვრელი	100% წილი, შპს ჯი სი ეფ პარტნიორები, მესაკუთრე შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი

არჩილ ჩიკვაიძე

შპს ბიზნეს დეველოპმენტ 405106870	დირექტორი - არჩილ ჩიკვაიძე	100% წილი, შპს ჯი სი ეფ პარტნიორები, მესაკუთრე შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი

ცოტნე ებრალიძე

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი - 405033734	აღმასრულებელი დირექტორი - ცოტნე ებრალიძე	100% წილი, სააქციო საზოგადოება FRANKSTON INTERNATIONAL S.A., პანამა
შპს ბლექ სი რიზორთს ასეთ მენეჯმენტი 405260168	დირექტორი - ცოტნე ებრალიძე	405046542, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბლექ სი რიზორთსი 100%

ზურაბ შხვაცაბაია

საქართველოს მხარდაჭერისა და განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი არის უჩა მამაცაშვილი, რომელიც, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილია. უჩა მამაცაშვილმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნის დროს 50 000 ლარი შესწირა პარტია ქართულ ოცნებას.

კომპანია- ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
საქართველოს მხარდაჭერისა და განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ს/კ: 404434260	გამგეობის წევრი ზურაბ შხვაცაბაია	თავმჯდომარე უჩა მამაცაშვილი აღმასრულებელი დირექტორი, თამარ ჯავახაძე
შპს სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი აგრო ქართუ ს/კ: 205203983	დირექტორი ზურაბ შხვაცაბაია	100% წილი, კრისტა ინვესთმენთს ლიმითედი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

გიორგი როგავა

გიორგი როგავა წარსულში სახელმწიფო კომპანიების შპს "ქართული კვების კომპანია" და შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" დირექტორის პოსტებსაც იკავებდა.

კომპანია და ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ელიტა ბურჯი - 206120437	დირექტორი გიორგი როგავა	100 % კომპანია რინგოლდ ფინანს ლიმიტედი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
შპს პრაიმი - 404856526	დირექტორი - მანანა წერეთელი	22% წილი, გიორგი როგავა, 22%, ლევან ანდღულაძე, 56%, მამუკა დოლიძე
შპს ჯი სი ჯი - 405039015	დირექტორი - გიორგი ჩრდილელი	16,5% გიორგი როგავა, 34% შპს ვი თი ჯგუფი ს/კ: 205143824 33% გიორგი ჩრდილელი 16.5 % ირაკლი ფირცხალაიშვილი

ივანე ბონდირევი

კომპანია და ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ძველი უბანი - 202055122	დირექტორი ივანე ბონდირევი	100 % წილი, ა(ა)იპ საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება
შპს მეცხრე არხი ინფო - 406068981	დირექტორი ივანე ბონდირევი	100 % წილი, სააქციო საზოგადოება უნივერსალი 97
შპს ახალი კაპიტალი - 205283637	დირექტორი ივანე ბონდირევი	100% ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ ს.ა
შპს სანაპიროს ხედი - 204559511	დირექტორი ივანე ბონდირევი	100% წილი, სააქციო საზოგადოება ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ
შპს სი ვიუ რესორთ - 404901246	დირექტორი ივანე ბონდირევი	100% წილი სს სანაპიროს ხედი
შპს ოლდ სითი - 405034626	დირექტორი ივანე ბონდირევი	მესაკუთრე- 100% შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი წილის მმართველი შპს ჯი სი ეფ პარტნიორები (თანაინვესტირების ფონდი)

ბიჭია დემეტრაშვილი

ბიჭია დემეტრაშვილს 2017 და 2016 წლებში პარტია ქართული ოცნების სასარგებლოდ ჯამში 16 000 ₾ ფულადი შემოწირულობა აქვს განხორციელებული.

ბიჭია დემეტრაშვილი არიის ა(ა)იპ ასოციაცია ატუს გამგეობის წევრი. ასევე, გამგეობის წევრია კახა კობიაშვილი, ხოლო თავჯდომარეა როსტომ ჩაბრაძე.

კომპანია-ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ინტერ კონსალტინგ + ს/კ: 205032294	დირექტორი ბიჭია დემეტრაშვილი	100% წილი, ფრესნო მენეჯმენტ ლიმიტედი, ბელიზი
ა(ა)იპ ასოციაცია ატუ ს/კ: 239402491	გამგეობის წევრი ბიჭია დემეტრაშვილი	გამგეობის თავმჯდომარე/წევრი - როსტომი ჩაბრაძე, წევრი - კახა კობიაშვილი
შპს თები ს/კ: 404924150	დირექტორი თეიმურაზ წილოსანი	50% წილი, ბიჭია დემეტრაშვილი; 50%, თეიმურაზ წილოსანი

ბესიკ დემეტრაშვილი

ბესიკ დემეტრაშვილი ბანკი ქართუს სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. გარდა ამისა, მას დირექტორის პოსტი უკავია ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ არაერთ კომპანიაში.

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
სს დიდველი - 226152427	გენერალური დირექტორი ბესიკ დემეტრაშვილი	97% წილი, კრისტა ინვესთმენთს ლიმითედი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები; სამეთვალყურეო საბჭო წევრი - კახა კობიაშვილი, წევრი ირაკლი თოფაძე, წევრი ბესიკ დემეტრაშვილი
შპს რივიერა XXI - 405106326	დირექტორი ბესიკ დემეტრაშვილი	100% წილი, შპს ფინსერვისი-XXI
შპს სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი აგრო ქართუ - 205203983	გენერალური დირექტორი ბესიკ დემეტრაშვილი	100% წილი, კრისტა ინვესთმენთს ლიმითედი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები; დირექტორი - ზურაბ შხვაცაბაია
ა(ა)იპ აგრო - 205106491	აღმასრულებელი დირექტორი ბესიკ დემეტრაშვილი	გამგეობის წევრი - რევაზი სიჭინავა, გამგეობის წევრი - ლუიზა ჭანკოტაძე
შპს თბილისის ფრანგული სკოლა - 404877683	დირექტორი ბესიკ დემეტრაშვილი	100% წილი, ა(ა)იპ ასოციაცია ატუ
შპს მენეჯმენტ სერვისი - 205177057	დირექტორი ბესიკ დემეტრაშვილი	100% წილი, ტარპან მენეჯმენტ ლიმითიდ, ბელიზი

ზურაბ ცოტნიაშვილი

ზურაბ ცოტნიაშვილს 2014 წელს ქართული ოცნებისთვის 30 000 ლარი აქვს შეწირული.

კომპანია-ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ქართუ მშენებელი ს/კ: 205200227	ხელმძღვანელი, ერთპიროვნულად ზურაბ ცოტნიაშვილი	100% წილი, ფრესნო მენეჯმენტ ლიმიტედი ბელიზი

ვეფხვია დვალი

ვეფხვია დვალს პარტია "ქართული ოცნების" სასარგებლოდ 2014-2017 წლებში 17 000 ლარის შემოწირულობა აქვს გაკეთებული.

კომპანია- ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს ფინსერვისი-XXI ს/კ: 205030214	დირექტორი ვეფხვია დვალი	100% წილი, ვიზელია ენთერპრაიზის ლიმიტედ, ბელიზი
სს უნივერსალი 97 ს/კ: 206055640	დირექტორი ვეფხვია დვალი	100% წილი, ფინსეკ ლიმიტედი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები; სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ეთერი დემინაშვილი, თავმჯდომარე/წევრი - ნათელა ყალიჩავა, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი - გელა კობერიძე
შპს მეცხრე არხი ს/კ:205150726	დირექტორი ვეფხვია დვალი	100% წილი, შპს აქცეპტი
სს არგო-სერვისი ს/კ: 204872780	დირექტორი ვეფხვია დვალი	100% წილი, ფინსეკ ლიმიტედი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

გივი ლებანიძე

გივი ლებანიძეს 2015-17 წლებში პარტია ქართული ოცნებისთვის ჯამში 56 800 ლარი აქვს შეწირული.

კომპანია- ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
204891652 სს ბანკი ქართუ	სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი წევრი: ბესიკ დემეტრაშვილი წევრი: ეთერი დემინაშვილი გენერალური დირექტორი - ნატო ხაინდრავა	დავით გალუაშვილი ოპერაციების დირექტორი/დირექტორატის წევრი ბექა კვარაცხელია რისკების დირექტორი/ დირექტორატის წევრი გივი ლებანიძე ფინანსური დირექტორი/ დირექტორატის წევრი ზურაბ გოგუა კომერციული დირექტორი/ დირექტორატის წევრი
204970031 სს დაზღვევის კომპანია ქართუ	სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი თავმჯდომარის მოადგილე/ წევრი: ალა კახნიაური წევრი: კახა კობიაშვილი ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობა გენერალური დირექტორი - არჩილ მამაცაშვილი	ფინანსური დირექტორი - გივი ლებანიძე აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი მიქაბერიძე

გიორგი მიქაბერიძე

გიორგი მიქაბერიძეს 2016-17 წლებში ქართული ოცნებისთვის ჯამში 45 000 ლარი აქვს შეწირული.

კომპანია- ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
204970031 სს დაზღვევის კომპანია ქართუ	ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობა ფინანსური დირექტორი - გივი ლებანიძე აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი მიქაბერიძე გენერალური დირექტორი - არჩილ მამაცაშვილი	სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/ წევრი: ნიკოლოზ ჩხეტიანი თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ალა კახნიაური წევრი: კახა კობიაშვილი

არჩილ მამაცაშვილი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, არჩილ მამაცაშვილი ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი, უჩა მამაცაშვილის ძმა არის. მას "ქართული ოცნებისთვის" 2014-2017 წლებში 32500 ლარი აქვს შეწირული.

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
სს დაზღვევის კომპანია ქართუ ს/კ: 204970031	ფინანსური დირექტორი - გივი ლებანიძე აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი მიქაბერიძე გენერალური დირექტორი - არჩილ მამაცაშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/ წევრი - ნიკოლოზ ჩხეტიანი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ალა კახნიაური, წევრი - კახა კობიაშვილი

ნატო ხაინდრავა

ნატო ხაინდრავა სს ბანკი ქართუს და სს ქართუ ჯგუფის გენერალური დირექტორია. მას ქართული ოცნებისთვის 2012-2017 წლებში ჯამში 182 600 ლარი აქვს შეწირული. გარდა ამის ის 30% წილს ფლობს შპს "ეი ენდ ენ კონსალტინგში."

კომპანია- ს/კ	დირექტორი / ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
404461462 შპს ეი ენდ ენ კონსალტინგი	დირექტორი - ანა გელაშვილი	ნატო ხაინდრავა 30% ალა კახნიაური 60% გვანცა ფოცხვერაშვილი 10%

გელა კობერიძე

გელა კობერიძეს ქართული ოცნებისთვის 2012-2017 წლებში ჯამში 9 000 ლარი აქვს შეწირული.

კომპანია და ს/კ	დირექტორი/ხელმძღვანელი	კომპანიასთან დაკავშირებული პირები
შპს რეესტრი XXI - 204975438	დირექტორი - გელა კობერიძე	100% წილი, სს დაზღვევის კომპანია ქართუ
შპს ჰორიზონტი - 211345105	დირექტორი - გელა კობერიძე	75% წილი მფლობელია რინგოლდ ფინანს ლიმიტედი, 25% წილი, სს აისი
შპს ბლექ სი არენა - 405141831	დირექტორი - გელა კობერიძე	634278, ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენალ ს.ა.,პანამა, 25.09.2008 100%
შპს სისაიდი 404496327	დირექტორი - გელა კობერიძე	405033734, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი 100%
შპს ზესტაფონის ნავთობბაზა "თამზრამზი" 230024960	დირექტორი - გელა კობერიძე	204876642, სააქციო საზოგადოება "ქართუ-ჯგუფი" 100%